

საქართველო  
საბჭოთავო

32 47

# კომუნარი

№ 5·6



მუშათა საქმისათვის  
ნიკავ მზად!

გაიხი-იხიანი 1933 წ.

**კიო-  
ნე-  
რი.**

საქართველოს ბ. კ. ო. ცხე-  
ტრალური ბიუროს და ვა-  
ნათელბის სახალხო კომი-  
სარიატის შუამდგომელი ბა-  
შათვის

წაღიწადი მე-8.

**№ 5-6.**

რედქციის მისამართი:  
აღმსკეთის ქ. № 7.

სახელმწიფი, ახალგაზრ-  
დობისა და საბავშვო  
ლიტერატურა. ნაქტორი

**შინაარსი**

1. ბავშვები (მე გორკის) — თარგ. ალ. ქავთარაძის
2. ბანაკობა — იანის
3. მთიან თაჯიკისტანში — ლ. მარუაშვილის
4. მოგონება — ბ. გოციირძის
- ✓ 5. ცისკარა — ცქვიტის
6. ღიზმარება — მ. ებრაღძის
7. ასეთი უნდა იყოს საბჭოთა სკოლის მოწაფე ელ. ა-ბ
- ✓ 8. საბრძოლო მზადებაში — გ. კაქაზიძის
9. რავიკითხვით — მ. თამაძის
- ✓ 10. ჯუმბერ — ხ. შთვარაძის
11. სასწავლო მეთოდური გამოყენები ტფილისში
12. ლონდონი — შ. თაბ-ლი
- ✓ 13. ბების წერილი — გ. კაქაზიძის
14. მუსიკა — თ. შავერვაშვილის

სტამბა კომპოზიტორებისა, ა. შირთლის ქ. № 3-5.



# ბ ა ვ მ ვ ე ბ ი

ძნელი ამ პატარა ისტორიის ვად-  
მოცემა, იმდენად უბრალოა იგი.

ჩემს ქაბულობისას, გაზაფხულისა და  
ზაფხულის კვირადღეებში თავს მო-  
ვუყრიდი ხოლმე ჩვენი ქუჩის ბავშ-  
ვებს და დილიდანვე წყასხამდი მათ  
მინდვრად ტყეში: მე მიზიადედა ფრინ-  
ველებსავით გიჟეჟ პატარა ადამიანებ-  
თან მეგობრული ცხოვრება.

ბავშვებს ახარებდა ქალაქის მტვრი-  
ანი და ვიწრო ქუჩების განზორბება;  
დედები მათ აპარავდნენ პურის ნა-  
ჭრებით, მე ვყვილობდი რაიმე  
ტკბილესს, ავაგებდით მოზრდილ  
ბოთლს ბურაბით და როგორც მშვენი-  
სი, ისე მივეყვებოდი უჟან ამ უღარ-  
ოდელ ბატკნებს ქალაქად. ველად,  
შვენიერ და წარმტაც ტყეებდ.

ჩვენ თითქმის ყოველთვის დილით  
ავადიოდით ქალაქიდან, იმ დროს, რო-  
ცა დაირეკებოდა ადრეული წირვის  
ბარები, თან მიგვაცილებდა ზარების  
ფუნჯი და ფეხმარდი ბავშვების მიერ  
დღნილი მტვრის კორიანტელი.

თამაშით მოქანცული ჩემი მეგო-  
ბრები შუადღის პაპანაქებაში ტყის

პირად შეიკრიბებოდნენ, საუზმის შემ-  
დეგ უმცროსები წიძინებდნენ თხილე-  
ბისა და ძალუყურძენის ჩრდილში,  
ხოლო ათი წლის ყმაწვილები მჭიდ-  
როდ შემოიკრიბებოდნენ ჩემს ირ-  
გვლივ და მიზოვდნენ შეამბა მათთვის  
რაიმე. მე მოვუყვებოდი სხვადასხვა  
ამბავს და გატაცებით ვტიტინებდი.  
ძალიან ხშირად, მიუხედავად ჰაბუ-  
კური თვითდაჯერებისა და მასთან  
შეთავსებულ ცხოვრების უმნიშვნელო  
კოდნით სიამაყისა, თავს ვრაცხდი  
ოცნოვან ბაღლად ბრძენთა შორის.

ჩვენს ზევით ცის ლავეარდოვანი  
თალი, ჩვენს წინ—ტყის მრავალფე-  
როვნება, ბრძნული გარინდებით და-  
ქროლავს ნიაგი, ისმის ჩუმი შრი-  
ალი და ირხევიან ტყის სურნელო-  
ვანი ჩრდილები, და ისევ ის დალო-  
ცვილი ღუმილი დედური აღერსით  
ელოლიავება სულს.

თეთრი ღრუბლები მოცურავენ  
ლავეარდოვან ცის კამარში, შისიგან  
დასიხული დიდამწიდან ცივი გე-  
ჩვენება ზეცა, და საოცარი სანახაია,  
როგორ დნება მისში ღრუბლები.

ჩემს ირგვლივ კი გულუბრყვილო  
პატარა ადამიანები—ცხოვრების სი-  
ღუბუჩურისა და სიამტკბილობის შესა-  
ცნობად მოწოდებულნი.

ეს იყო ჩემი საუკეთესო დღეები,  
ნამდვილი დღესასწაულები, და ცხოვ-  
რების უკულმართი მხარეებით დანი-  
სლული ჩემი სული ახლდებოდა და  
იბადებოდა ბავშვური გრძნობებისა  
და გონების ნათელი სიბრძნით.

ერთხელ, როცა ბავშვთა გუნდის  
თანხლებით ქალაქიდან მინდვრად გა-  
ვიდიოდი, ჩვენს შესახვედრად შემო-  
ტრიალდა ყველასათვის უცნობი ბი-  
ჭი—გებრავლი: ფეხშიშველა, დაფლუ-  
თილი ხილათით, შავწარბა, წერწეტა  
და ბატკანივით თმასუჭუჭა.

რალაცის გამო აღუღებულ იყო  
და ნამტირალევი ჩანდა. შავი მკრთა-  
ლი თვალების ქეთუთოები ჩამოსი-  
ებოდა და გასწითლებოდა, რაც მკვეთ-  
რად ჩანდა ვაფთოებულ მშვიერ სახეზე.  
შეჩეხა რა ბავშვთა გუნდს, იგი  
შეჩერდა შუა ქუჩაში და დილით  
შეგრობებულ მტვრის მაგრად დაებ-  
ჯინა. ლამაზ პირისხეზე შინისაგან



ყვამავ ვაგრო მკრთალი ბაგენი. წუ-  
თი—და მსუბუქი ნახტომით იგი ტრო-  
ტუარზე გაჩნდა.

— დაიქი იგი! — ხალისიანად ერთ-  
ხმად შეძახეს ბავშვებმა. — ურია! დი-  
ლით ურია!

მე ვფიქრობდი, რომ იგი გაიქცე-  
ოდა, მისი გამხდარი ფართოთვალე-  
ზიანი სახე შიშს გამოხატავდა, ტუ-  
ჩები თრთოდა. იგი იდგა დამცინავ  
საპურობაში და თითქოს იზრდებოდა,  
აწევებოდა რა მხრებით ლოპეს და ხე-  
ლებს იმაღლავდა ზურგს უკან.

მაგრამ უყურად მან ძლიერ და-  
მშვიდებით, გულდასმით და სწორად  
წარმოთქვა:

— თუ გსურთ, ოინებს გიჩვენებთ.  
მე მივხვდი, რომ ეს წინადადება  
თავდაცვის საშუალება იყო: ბავშვე-  
ბი წამსვე დაინტერესდნენ და უკან  
დბიწიეს. მხოლოდ უფრო მოზრდი-  
ლები და უხეშები უნდოდ და სა-  
ეჭვოდ შესტყვიოდნენ პატარა ებრა-  
ელს. ჩვენი ქუჩა ექიშვებოდა სხვა  
ქუჩის ბავშვებს; ჩვენს ბიჭუნებს მტკი-

ცედ წამდათ, რომ მათ დიდი უპირა-  
ტისობა ჰქონდათ სხვა ქუჩის ბავშვებ-  
თან შედარებით და არ უყვარდათ და  
არ ჩვეოდათ სხვა ბავშვების განსაკუთ-  
რებულ უპირატესობათა შემჩნევა.

პატარები ამას უბრალოდ ეკიდე-  
დებოდნენ:

— გვიჩვენე! — წამოიძახეს იმათ.  
ლიმაზი, გამხდარი ყმაწვილი მო-  
ზორდა ლოპეს, გადაიხიჩკა წელში,  
დააკარა თუ არა ხელები მიწას, ანაზ-  
დად შეათამაშა ფეხები და დადგა  
ფეხზე, თან წამოიძახა:

— ჰოპ!  
და როგორც დამწვარი, ისე და-  
ტრიალდა სხეულის მარდი და მსუ-  
ბუქი თამაშით.

დაფლეთილი შარგლისა და პერან-  
გის ნაჭერებს შორის გამოჩნდა ვამ-  
ბლიანი სხეულის ნაკრისფერი კანი.  
მისი ბეჭების, იდაყვების და მუხლე-  
ბის ძვლები მახვილ კუთხეებისავით  
იყო გამოშვებული და მისი ლავიწები  
სწორედ ანკესებს მოგაგონებდათ.  
გვიჩვენებოდა, რომ აი ის კიდევ

გადაიხრება ერთხელ და სხვა წვიმი-  
ლი ძვლები დაიშხებენ...


მას უკვე ოფლის...  
სილოდა, პერანგიც კი მოლიანად სვე-  
ლი იყო; რომელიმე ვარჯიშის გა-  
თავებისას, იგი გაყინული ღიმილი  
ჩახედავდა ბავშვებს სახეში, და თით-  
ქოს ტკივილისაგან დაფართოებულ  
დანისლოლი თვალები არასასიამო-  
ვნო შესახედავი იყო. ბავშვები უც-  
ნაურად ტოკავდნენ და მათ თვალებ-  
ში არაბავშვური დაქიმულობა ჩანდა.

ყმაწვილები აღტაცებული წამო-  
ძახილებით აქებებდნენ მას, მრავალ-  
მათვანი ბაძავდა კიდევ; გადადიოდნენ  
ყირაზე, ეცემოდნენ მტვერში და ყვე-  
როდნენ, როდესაც უხეში მოძრა-  
ობით რაიმეს იტყვენდნენ ან ვარჯიშო-  
ბას სწორად შესარულედნენ, ზოგი  
მხოლოდ ერთმანეთის უბრთი. მაგარ-  
ეს მზიარული წუთები მაშინვე გაქარ-  
ოდესაც ყმაწვილმა ვარჯიში მი-  
ატოვა და გამოცდილი მსახიობის ღი-  
მილით ხელგაწილილი მიაჩერდა ბავ-  
შვებს და უთხრა:

სისუქე ჩამოვარდა, მხოლოდ ერთ-  
მა პკითხა:  
— ახლა მომეცით რაიმე...  
— ფული?  
— ჰო, —უბასუხა ყმაწვილმა.  
— ვაჰ, ეს რა ყოფილა!  
— ფულს თუ მოგცემენ, ხო-  
ჩვენც გაეკეთებდით...

ასეთმა თხოვნამ ამ პატარა საზო-  
გადოებაში მტრული დამოკიდებუ-  
ლება გამოიწვია მსახიობისადმი, — ბავ-  
შვები დაღინებთა და გინებით გაეშურ-  
ნენ მიწდერისაკენ. რასაკვირველია  
არცერთ იმათგანს ფული არ გააჩნდა  
მე კი მხოლოდ შვიდი კაპიკი ჰქონდა  
ამოვიღე ორი გროში და მტკირა  
ხელზე დაუდვი. მან ისინი შეთამაშ-  
თითებში და ღიმილით მითხრა:

— გმადლობთ...  
მომცილდა თუ არა, მის პერანგზე  
რომელიც ბეჭებზე მიჰკვროდა, მუც-  
ლაქები შევამჩნიე.  
— მოიცა, ევ რა არის?  
იგი შეჩერდა და მომიბრუნდა,  
ყურადღებით დამაკვირდა და სასი-  
ამოვნო ღიმილით მომხარტა:





— ეს, ზურგზე? ჰო, ეს აღღვამის მომივიდა. მე და მამაჩემი გაქანებული ღერძიდან ჩამოვევარდით, ცირკში, ის კიდევ წყეს, ხოლო მე ხომ ხედავთ, კარვად ვარ...

მე ავუწიე პერანგი და დაეინახე ზურგზე ფართო და მუქი იარა, რომელიც მხრებიდან დაწყებული ძირამდე დაჰყვებოდა; მასზე სქლად შემხმარეო სისხლი, მვგრამ ვარჯიშობისას იგი რამდენიმე ადგილას გახეთქადა და სისხლი ჟონავდა.

— ახლა უკვე აღარ მტკივა, — მითხრა მან ღიმილით, — მხოლოდ მეტყეფება. ვეკაცურად, ისე, როგორც გმირს შეეფერება, შემხედა თვალებში და განავრძო მოზრდილი ადამიანის დაღინჯებული ტონით:

— თქვენ გგონიათ, რომ ახლა მე ჩემთვის ვმუშაობდი? ვფიქვავ, არა! ვენ პურის ნაჭერიც არ მოგვევოვება სახლში. მამა ვეღარც კი იმძრევა. იცით, აუცილებელია მუშაობა. ამავე დროს ებრაელები ვართ და ყველა ჩვენ დაგვიცინის... შვიილობით.

იგი მხიარულად, გაბედულად და ღიმილით ლაპარაკობდა. დამიკრა თამახუტუხა თავი და სწრაფად გაეშურა სახლების გასწვრივ, რომელნიც თავისი მინის თვალებით გულცივად და უსიცოცხლოდ შესტკეროდნენ მას.

ეს ამბავი ხომ მეტად უმნიშვნელო და უბრალოა, ეგრე არ არის?

მვგრამ არა, ერთხელ ჩემი ცხოვრებაში, ჩემი ცხოვრების ყველაზე ძნელ დღეებში, დიდის სიამოვნებით მომიგონებია ამ ყმაწვილის ვეკაცური სიამავე.

და ახლა, ამ ტანჯვა-ვაებითა და შეურაცხყოფით აღსავსე დღეებში, რომლებიც ამ რელიგიის შემოქმედი უძველესი ხალხის ქალბა თავებს ატყდება, ვიგონებ იმ ყმაწვილს, რომელშიც ჩემის აზრით, განსაზიერებულთა ადამიანის ვეკაცობა, არა მოქნილი მოთმინება მონისა, რომელიც გაურკვეველი იმედებით ცხოვრობს, არამედ ძლიერი ვეკაცობა, რომელიც თავის გამარჯვებაში დარწმუნებულია.

მაქსიმ გორკი.

თარგმ. ალ. ქავთარაძისა.

გმობა ყველა ზარმაკობას და ზარმაკებს გმობა: მაშინ შრომა არ ივარგებს არც ამხანავობა. გარჯა არის ჩვენი საქმე და ნამდვილი ძმობა: გმობა ყველა მოლაღატეს, გმობა, გმობა, გმობა, ჩვენგან იმათ ვინ აჰყვება, სხვა ჩვენი ყრმობა, აი ჩვენი ამაყობა: ტყეში ბანაკობა. საქმე არის ბანაკობაც, განა უსაქმობა? უსაქმობით დრო ფუქლებდა და ამხანავობა. ცემია და ქვიშეთია, ფიქვები და ნაძვი, იშრომე და ღაისვენე, სნეულება დაწვი. ავგარკით ისარგებლეთ ყველამ ნაწილ-ნაწილ, მომავალი საჭიროებს ლომგმირივით ყმაწვილს. შუამთა, კახეთია, ტყეები და მთები! რა ხუტუხა ნისლი იცის, მწვერვალების თმები, გაემართეთ საყვირებით, მგზის ბარანებით, აქ ვარჯია ბანაკობა, არის მოედნებიც. ჩარაზმული კარვებია, კონუსებად ტილო, — ბიჟო, განა მოგეწონა, სოფელს მოწყვეტილო, ქალაქიდან ჩამოსული და ქარხნების შვილო? მთებმა იცის მთის ნიაფი მზის სხივი და ჩრდილო. ტანში ღონეც მეტი იცის და წონაში კილო. სოფელს უნდა დახმარებაც, უნდა მეგობრობა, მეტომ არის საყვარელი ჩვენში ბანაკობა. ბანაკობაც საქმე არის, განა უსაქმობა? გმობა ყველა მოლაღატეს, გმობა, გმობა, გმობა!

# მთიან თაჯიკოსვანები

სოფელ აჩყ-ალმას სამხრეთით მდინარე ყიზილ-სუზე „ხილია“ გადებულა: არ აბოლინ ხეზე დაკრულია გაუთუღელი შორები. შორები ტოკავს ქსენების ფეხქვეშ და თვით „ხილია“ ნერკესისკარებიანი მოხუცივით წელში იხნიკება; ჩვენი ყაშღარელი მეპარანებები ხიდის სიმტკიცეს არ ენდობათ, რომ ცხენებს თითოობით უშეიხნენ, ამიტომ სანამ მთელ კარავანი ეორე ნაპირზე გადავიდოდნენ, საათზე სტიტრო ვავიდა.

ჩვენ ძალიან ახლოსა ვართ იმ ადგილთან, საიდანაც ყიზილ-სუ მდინარე მოგ-სუს უერთდება, მაგრამ ნუ გგონიათ, რომ ჩვენთვის ათვლილი მოგ-სუს ხეობაში მისვლა! საჭიროა გადავლახოთ უღელტეხილი ტრანს-ალაის ქედის ტოტებზე და 3300 მეტრის სიმაღლიდან ისევ თავქვე ჩავეშვათ რომ ერთადერთი ხილით გადავიდეთ, მოგ-სუს მარცხენა ნაპირზე.

მოგ-სუ განთქმული მდინარეა, ეს იხსენება არა მარტო იმით, რომ ყოველ საფუღელ ამ მრისხანე სტიქიონს მიაკვს მსხვირბლი ფონს გასვლის დროს და ლტოლული მგზავრების და ცხენების სახით, არამედ იმითაც, რომ მოგ-სუს ნაპირებზე უხსო-ვარი დროიდანვე ხდება ქვიშიდან ოქროს ფენილის მოპოვება: ჩვენ ხშირად ვხედავთ ნაირნაირი ხელსაწყოებით შეიარაღებულ ყირღიზებს და თაჯიკებს, რომლებიც დიდიოდნენ სლამომლის ქვიშას რეცხებენ.

სოფელ დევსიარდნი მივმდებარებთი ვარდანიქეთარის უღელტეხილისაკენ, რომელიც ე. წ. პეტრე I ქედზე მდებარეობს და სიმაღლით 3800 მეტრს აღწევს ზღვის დონედან. უღელტეხილის კალთა მარადიული თოვლის მინდვრებითა და ფარული, შიშველი და გულცივი კლდეები გუშაგებად მოსდგომიან საუღელტეხილო ბილიკს, მაღლა დაფრინებენ მთის მწახანა ჰილდეები და ცურავს დარბაისელი არწყვი.

და იმ საოცრება! თუ 17 აგვისტოს ჩვენი ცხენებს ფეხები უხსლტებოდა მოყინულ მარადიულ თოვლზე და მცენარეულობის ნასახც კი არ იყო, 18 აგვისტოს სრულიად სხვა ქვეყანაში მოგვხდით! საღდაა თოვლი, თაჯიკების სოფელ ლიანგარს ვარს აკრავს ბალ-ბოსტნების სიმწვანე. აქ, ხინგოლს ხეობაში, 2,000 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან, მშვენივრად ხარობს სიმინდი, ვაშლი, ნუში, გოგრა და... ნესვი.

ასეთია თაჯიკისტანია... ხინგოლს ხეობის ფერდობები ტიტელია, ძირი კი საუცხოოდ აყვავებულ ოახის წარმოადგენს. სოფლებში მწვანე ზღვაში ჩაფლულია. სახლთა მიწური ბანები ვაშლის ჩირითაა სასვეს ზამთრის მარავია, ყანებში ხშირად დინახავთ შავგერემან თაჯიკებს, რომლებიც კომპლის ქნეით და ყვირისლით ცილიობენ ფრეკონ ჰირნახულზე მისეული ფრინველები. ნაოფთან სიმძიმით ჩამოზნექილი ვაშლი ხის ტოტები ბილიკს ჩხრდილავენ; იქვე აშოლტილა ალღის ხეები.

თაჯიკების სასოვარებლო ბინას წარმოადგენს ხანაიანი თაჯის სახლი, რომელიც ბუნებრივი მიხარაი მიწითაა აგებული, ბანი რამდენიმე ხის სვეტს ეყრდნობა. არქიტექტურული სიღარიბე შუა აზიის საერთო დამახასიათებელი თვისებაა, რომელსაც ვერც თაჯიკისტანი გაქცევია. შინაბრწყველობა აქ საკმაოდ განვითარებულია. განსაკუთრებით ღირსშესანიშნავია მხატვრული თვალსაზრისით თაჯიკური „ჯურამები“ (წინდები) ფერადი ძაფებით მოჭარბული, რომელთა ნახატ თითოეული ხეობაში ნაირ-ნაირი სტილითაა.

ზედმეტი არ იქნება, რომ მოკლედ შევეხეთ თაჯიკების ისტორიის და მათს რელიგიას.

სამი საუკუნით ადრე, ჩვენი წელთაღრიცხვის დაწყებამდე, ილექსანდრე

მაკედონელმა დაიპყრო სპარსეთი, ამარცხა დარიოსი და დევპატრონა თანამედროვე ავღანისტანის და დასავლეთ თურქესტანის მიწაწყალს. მასედონელებმა გაავრცელეს ელინური კულტურა მთელ თავის უზარმაზარ სამეფოში, რომელიც გადაქიმილიყო იტალიიდან ინდოეთამდე. გვევტილიან კავასიონამდე და ბუხარამდე, თაჯიკები დიდი ხნის განმავლობაში მოწინავე კულტურულ ხალხთა რიგებში იდგენ. მაგრამ ელინური კულტურა მათ დიდი ხნით ვერ შერჩათ, ვინაიდან იგი განდევნა სხვა ერების ზეგავლენამ და უმთავრესად არაბებთან გავრცელებულმა მაჰმადის მოძღვრებამ ბერძნული კულტურის აღნაგებულ მუსულმანურმა ფანატიზმმა ამოფხიკა და თაჯიკები კვლავ კულტურულად ჩამორჩნენ. უკანასკნელ ხანებში თაჯიკების ქვეყანა ბუხარის ემირის სამფლობელოში შედიოდა და მხოლოდ გასაბჭოებამ 1920 წ. იხსნა ის დესპოტიზმისაგან.

თაჯიკების მაჰმადიანურ სარწმუნოებას ერთგვარი თავისებურება ახასიათებს: საქმე ისაა, რომ თაჯიკები აღმერთებენ „ოცხალ მაჰმადს“ ანუ ალა-ხანს, რომელიც ნამდვილი მაჰმადის პირდაპირი ჩამომავალი ითვლება; ამ „ღვთაებრივი“ წოდების პატრონი დღესაც ცხოვრობს ბრიტანულ ინდოეთში (ქ. ბომბეი) და ატარებს აგრეთვე მაჰარაჯას ტიტულს. ინგლისის იმპერიალიზმს, რაღა თქმა უნდა, განგებ მფარველობს ცრუ „ღმერთი“ ვინაიდან მას იმედი აქვს ისარგებლოს ალა-ხანის ავტორიტეტით აღმოსავლეთის კოლონიზაციის საქმეში, რელიგიის შხამი ბრძოლის უნარს ართმევს ხალხს...

ალა-ხანი თავისი თაყვანისმცემლებს ყოველწლიურად ასდევინებს ხარკს ოქროს ფენილით. ის, ვინც საკუთარი თვლით იხილავს „ოცხალ მაჰმადს“, ღიჯის წმინდანად ითვლება.

რას წარმოადგენს სინამდვილეში „სოცხალი მაჰმადი“? თანამედროვე აღა-ხანს დაუთმავრებია ცნობილი ოქსფორდის უნივერსიტეტტი და კაბიტლისტური ევროპის ზმირის სტუმარია. იქ ის ესწრება ოვიციალურ წვეულებებს, სადაც მას ზოტა-ქებას მიუძღვნიან მისი ევროპელი „თაყვანისმცემლები“. ბურჟუაზიულ ჟურნალებში ზმირად იმეტდება წერილები აღა-ხანის შესახებ და თავსდება მისი ფოტოგრაფიული სურათები.

კულტურული რევოლუცია ამხვრევს რელიგიას. იმხვერევა „სოცხალი მაჰმადის“ რწმენაც, და შორს არაა ის წუთი, როდესაც ის საბოლოოდ აღიგებება დედამიწის ზედაპირიდან.

რამდენიმე დღის განმავლობაში ჩვენი ქარავანი მდინარე ხინ-გოუს ხეობის აღმა მიემართება, საცალფეხო ბილიკი ხეობის ციკაბო ფერდობებზე ჰკილია, ბილიკზე ზმირად ვხვდებით ახალი ცხოვრების მოციქულებს: მასწავლებელს, ექიმს, კომპერატივის გამგეს, კოლმეურნეობის მდივანს. სოფელ ლოჯირქის მახლობლად ყიყინით გვესალმებიან მინდვრად გამოსული კოლმეურნეები. ხინგოუს ნაპირებზე დაფუფუსებენ ოკროს მაძიებ-

ლები. აგერ მონადირეც თავისი პირველყოფილი კაიანი თოფით.

ხინგოუს სათავეებისაკენ მსვლელობასთან ერთად, ბალ-ბოსტანების არეკლებულობს, და სოფელ არზინგში სახეებით ჰქრება. უკანასკნელი სოფელი ფაშმღარი ზღვის დონიდან დაახლოებით 2650 მეტრის სიმაღლეზეა. აქ უკვე არავითარი ხილი არ მოდის, სამავიგროდ აქ არც კიბე-ცხელგებიც. ვაშლთან ერთად ისპობა ტროპიკული მალარიაც. ამისმიხეზია მთის სიკრილე და ყინვარებიდან მოსული ცივი ნიაფი, რაც არსებობის ნებას არ აძლევს კიების გამოშწვევ კოლოებს.

სოფელ ფაშმღართან ერთდება სამი მოზრდილი მდინარე: ღარმო, საღრუნი და ბოხული, რომლებიც ხინგოუს შეადგენენ.

ჩვენი სვლიეები აქედან მდინარე ღარმოს სათავეებისაკენ გემართება, იქით, სადაც ჩაწოლილია უზარმაზარი ღარმოს ყინვარი და ამართულია მარაღი თოვლით შემოსილი 7.500 მეტრის სიმაღლეზე აბუმებრაზეული მთა ღარმო.

(გაგრძელება იქნება)  
ლევან მარუაშვილი.

ვის არ უნახავს უაბტრონირი, რალაც ძონქებში გვეჩვენებოდა, სადაც მავთუთშნ წარმოადგენს გაგვეშვებოდა მთელი სხეული.

ზმირად ჩვენ განგებ ვისამდით მავთურომ არ გვეყოლოდა ტანზე მკენა დავწანწალებდით, ვეხეტებოდით უსაქმური და მოუსვენარი.



ვიყავით ტოლნი, ვიყავით სწორანობლები ბედით დაჩაგრულები, ყველგან ბედს ვცდიდით, ყველგან დაეძრწოდით ცხოვრებისაგან გარიყულები.

ბევრჯერ ქუჩაში უშწეო ქალი მწარე კრემლებით მიტრებიდა, მას შორახლო ვუთვალთვალდებოდა წაგრამ არცერთხელ შემკოვლებია.

## მობონება


(ყველა პონერს)

ძირფსო აშანაგებო! რას ვიფიქრებდი, თუ ოდესმე ჩადგებოდი თქვენს რიგებში და მექნებოდა თქვენთან საუბრის საშუალება. ბევრი ჩემისთანა ბავშვი გაბოსტაცა ჩვენმა ხელისუფლებამ ქუჩას, და აი მეც დამაყენა ნამდვილი ცხოვრების გზაზე, მომცა თავშესაფარი ავქალის უბატრონო ბავშვთა სახლში, მასწავლა და შემეყვარა შრომა.

და აი ამ პატარა წერილით მინდა მოვიგონო ჩემი წარსული და მოვავლონო თქვენც თქვენი ვალი უბატრონო ბავშვთა დახმარების შესახებ.

გწერთ ოდესღაც ქუჩა-ქუჩა მოხეტიალედ, დღეს კი შრომის მოყვარული:

დეკემბრის ყინვა, ქარი, ავღარი თოშვედა ტფილისს, თოვლიან ქუჩებს. არსად არ მქონდა თავშესაფარი, მიკანკალედა სიცივე ტუჩებს.



ნაქურდალ ნივთებს იქვე ვყიდდი, ნაშოვნი ფულით შეენაყრდებოდი. ბევრჯერ ნაცემი, მშვიტ-მწუკურვალსაღმე კუთხეში მივედებოდი...



ავტომობილმა შორიდანვე იკივლა და დიდ შენობას მიადგა. ფანჯრის არ შიანი ფარდა წუთით აიხადა და ისევე სწრაფად ჩამოეშვა.

ოთახში ხმაური ატყდა. ავტოდან თეთრწინსაფარიანი კაცები გამოვიდნენ, საცავე სწრაფად გადმოილეს და გიღებულ კარში შევიდნენ. სახლ ში ფეხის ხმა იმატა.

ბოლოებიანი საწოლი წუთით აგრიალდა, ხალხის ხმა კი დაბლა იხმოდა.

— გარშემო საბანი კარვად შემოუქცევეთ! ფრთხილად...

— ქალო, ნუ ღელავთ, ნუ გეშინიათ, საავადმყოფო ერთადერთი საშუალება ბავშვის გადარჩენისათვის.

— რატომ იკლავთ თავს ტირილით? იქ ყველაფერი ზელთ არის: ყურადღება ექიმისა, წაშალი... აქ კი ერთი წამი რომ გადააციდნოთ იმ წუთის, როდესაც დახმარება საჭიროა — ბავშვი უსათუოდ დაგელუჰებათ.

დედას შიშისაგან ფერი მთლად დაკარგოდა, ნამტირალევი თვალები სასოწარკვეთილებით ექიმისათვის მიეპყრა და დამფრთხალ შევლივით ცხაცხებდა. ხმის ამოღებას ვერ ახერხებდა.

ავადმყოფ ბავშვს თვალები დაეხუტა, სახეწამოქარბილებული ყელში მძიმედ ხრიალებდა, გონება მთლად დაკარგული ჰქონდა. გარშემო მეტობლები ყველა თავიანთ ფანჯრებს მოსდგომოდნენ, სახე ყველას სეროში ზული ჰქონდა, ზოგი გარეთ გამოსულ

და ერთხელ, როცა მისუსტებული მარტოკა ვეგდე ხიდის ყურეში, უცებ რაღაცამ ჩამოიქროლა, მძლავრი ხმაური მესმა ყურებში...

დილით კი, როცა გამომეღვიძა, სულ უცხო მხარე შეჩვენა თვალში.

პირველ ხანებში ვერ ვისვენებდი, კვლავ ზეტიალი მენატრებოდა, მსურდა როგორმე გავბარულიყავი, გული საშინლად მიღონდებოდა.

საღლაკ ვაზრდილი ბნელ კუთხეებში, მკაცრ დისკიპლინას ვერ შეგწევოდი. სუფთა ტანსამოსს, გეპრიელ საქმელს დიდი ხანია გადავჩვეოდი.

ან მუშაობას რა მივიქტებდა, ქურდობა იყო ჩემი ხელობა. „რად მინდა შრომა, ოფლი რად ვღვარო?“

ასეთი იყო ჩემი მსჯელობა.

მაგრამ გავიდა თვე, წელიწადი, — მეც შევეჩვიე კანონს და წესებს, გონება ჩემი მაშინ გამეხსნა, მაშინ ვიღვამიდი ცხოვრების ფესვებს.


დღეს კი... ემუშაობ დიდ ქარხანაში, ზეინკლობაა ჩემი ხელობა, მე მიყვარს შრომა მტკიცე, ურყევი და მეჯავრება ცრულამკერტობა.

მე თქვენ მოგამართავთ, პიონერებო, თუ საღმე ნახოთ უშუწო ბავშვი, ხელი ჩასქიდეთ, გზა გაუხსენით და მოათავსეთ თავშესაფარში.

**ბორის გოცირიძე:**

წამოვიხედე მისუსტებულმა, ჯეშ გვერდით იღვა ავტომობილს. ეღაცამ მძლავრად ხელი მოამხვია და ბნელი ქუჩით შორს ვამაქანა.

ის აღარ მახსოვს, მერე რა მოხდა, ან როგორ მოეხვედი ავტოლის სახლში.



ლოყო, რაღაც ჩუმად მოთქვამდა და მძიმედ ოხრავდა.

ყველამ იცოდა, რომ ბავშვს ხუნავი მძიმე ფორმით ჰქონდა ვამპლარი, და წუხდენ, თანაც კრღებოდნენ.

ავტომობილის კარები რახუნით დაიკეტა, მანქანამ ერთხელ კიდევ იკივლა და სწრაფად გაქანდა.

— უი, უწინ დიდდაშენი დამარბე, შენ გენაცვალე, შეილო, სანამ შენ ავითყდებოდეს რამე... წამოიკენესა რკალივით მოხრილმა დედაბებმა და ტირილით სახლში შევიდა.

\* \*

სუფთად დაწკრიალბულ საავადმყოფოს ფართო და ნათელ დერეფნებს ტროიკული მცენარეული მეტად აღამაზებენ.

ყველა პალატის კარები ღია, ისმის ბავშვების ხმაური, ზოგან სიცილი, ბევრგან წკრილა ლაპარაკი და ზოგჯერ ტირილის ხმაც ერევა.

— რა ამბავია, კაცო! დღეს მეთექვსმეტე ხუნავიანი ავადმყოფი მოვიყვანეს.

— საწყალი ის მასწავლებლის ბავშვი... ძლიერ მძიმედ არის ავად.

— რომელი? უკანასკნელად რომ მოიყვანეს, მე-3 პალატისა, არა?

— წუხელის რამდენიმეჯერ აშკარად წამოიყვირა: დედა, დედა, შეხედე, მოდის, მოდის, თეთრი ცხენი, მოაშუქებსო... დედა, რა ლამაზია, რა კარგიაო.

თან ბავშვი ისე ტკბილად იღიმებოდა, რომ მე ვთქვი ეს არის გამობუნდა და მოქი, მაგრამ დღეს ისევე ხბილი დაიწყო, მძიმედ სუნთქავს... ჩძუკ ვეღარ ჩავაწვეთეთ.

— არიქა, აგერ შემოვლავ შემიღიან... შეხედე, შეხედე ჩვენ პროფესორ ქალს! ჯვირანივით მოდის და ყველა ექიმები აშალასავით მოსდევენ, ახლა იმ ბავშვს ნახავენ...

— საწყალი, ნეტავი რამე უშველონ, თორემ იმის დღ-მამის ცოდვით პირდაპირ დავიწვი.



— აი დედასა, რა დროდავიდგა, მამო! წინათ ჩვენ, უბედურებს, სულ ამას ჩავჭრჩინებდენ: ქალს თავისი ჩრდილისსკა უნდა ეშინოდესო და ახლა კი... ერთი შეხედვით, თავს-შემოგველე, ის ორი მამაკაცი ექიმი უკან როგორ მოჩანჩალებს... წინ სულ ქალები მოჰყვებიან.

— ღიზა, ექიმი ნინო გეძახის, ჩქარა, — გაისმა ქვემოდან დისახლისის ხმა, ორივე მომუშავე ქალები დაფაკურდნენ და სხვადსხვა კართი გავიდნენ.

\* \*

ექიმებმა დინჯი ლაპარაკით ქვემოთ პალატისკენ ჩაიარეს. ახალგაზრდა ქალებს თეთრი წინასურები სახეზე შუქს აყენებდა.

ბევრ მათგანს მოსასმენი მიღებმ წინასურების ჯიბეში ეწყო. ტარები სალამურით მოუჩანდათ.

ზოგ ექიმს დაქანცული სახე ჰქონდა.

ეს, ალბათ, ლამის მორიგეები იყვნენ, ანდა მძიმე ავადმყოფი თავისი პალატისა არ ასვენებდა.

მძიმეა, როცა დიდ ამავს დასდებ, იმედი გაქვს და შრომა კი არ გიჯიხს-დებ, მძიმეა, ძლიერ მძიმე, როცა ექიმს ავადმყოფი ეღობება.

— აი, აქ გახალეთ... თქვა ახალგაზრდა ექიმმა და მეცხრე პალატაში ყველაზე უწინ თვითონ შევიდა.

ეს პალატა მხოლოდ ხუნავიანი ავადმყოფებისა იყო. რამდენიმე ბავშვი ჩუმად, უხმოდ იწვა, ისმოდ მხოლოდ მძიმე სუნთქვა.

ქვემოთ ფანჯრისკენ მდგომ უფრო მოდილო საწოლში ექიმების შესვლიდან ბავშვმა საშინლად დაიბრიალა. ეს ის მასწავლებლის შვილი იყო, რომელიც გუშინ მოიყვანეს საავადმყოფოში.

— გუშინ ანტიტოქსინი ორჯერ ვუღებოდა... მდგომარეობა მისმეა... ბავშვი ჯერ გონზე ვერ მოსულა. ტემპერატურა — 40<sup>8</sup>/<sub>10</sub> — განმარტებამ ექიმმა.



პროფესორი ქალი საწოლს მიუახლოვდა.

მოძველები ქალი მოშორებით ჩაოლდა.

ღანარჩენი ექიმები საწოლს გარშეოხებენ.

პროფესორმა საბანი გულამდე გაახადა. გულმკერდზე არავითარი ნიშნები არ ჩანდა.

სახე ბავშვს აწითლებული ჰქონდა. თვალები ოღანვე გახელილი, თითქოს როლიმარტი.

პროფესორმა მავა გაუსინჯა. შემდეგ ავადმყოფი სინათლისკენ მოატრიალა და პრიალა, კოვზის მსგავსი ღირფითი პირი გაუხსნა.

ბავშვი მიძიმე შეიშუშუნა და პირი მანკი გაალო.

— ლორწო და ჩირქი დღეს ნაკლები აქვს. ჯირკვლებიც უფრო მკირე. დღეს ანტიტოქსინი გაუკეთეთ?!

— არა, თქვენს მოსვლას ველოდი, ცოტა გულის დასუსტებისა მეშინოდა.

— ააფერია, ეტყობა, ბავშვს გული მაგარი აქვს. ერთხელ კიდე საღამოს შეუშაბუნეთ და, იმედია, ბავშვი დასძლევს მძიმე მდგომარეობას...

— შენ გენაცვალე, შენი ქირიმი... უცებ კუთხიდან მოისმა სისარულით დაკავებული გმინვა. ყველა ექიმმა იქითენ გაიხედა.

იქ ბავშვის დედა იდგა და მოლიმარსახებზე ლაბალებით ცრემლები ჩამოსდიოდა.

— ნუ გეშინიათ, თქვენ კიდეც ეგრე წუხართ? აკი გითხარით, არა უშავს რა მექოი... ეს მაგარი ბიჭუნაა, გაჩუწუნებთ, ყველაფერს დასძლევს. — ერთი მიხედვით პროფესორმა ავადმყოფის დედა დაამშვიდა და ახლა სხვა ავადმყოფებს მიმართა:

— თეთრი ცხენი, დედა, ცხენი!! უცებ წამოიძახა ბავშვმა, სახე მთლად გაუბუჭდა და ისე გაჩუმდა.

მეორე ბაწი ბავშვის საწოლთან მიხლოვებული ექიმები წუთით შეჩერდნენ, რადგან ყველაზე უფრო პროფესორი ქალი შედგა და სისარულით ანთებულმა იმავე ავადმყოფს სიკლით გამოხედა

— უცნაურია და გასაკვირველი. აი ეს არის უტყუარი, ძლიერი ალბო ადამიანისა. თეთრი ცხენია, არა, ეს რა თქვა?!?

— დიახ, პროფესორო, ბავშვი თითქოს ცხენს უაღერესებს, ხელებს ისე იწვდის, თითქოს ნამდვილად ცხენს ხედავსო.

— თქვენ იცით ბავშვი რას იძახის?! — დიახ, თეთრ ცხენს ახსენებს.

ამ ხნის განმავლობაში ეს მესამედ ახსენა. სხვა არაფერი უწამებია...

ჩაერია ლაპარაკში მოძველები ქალი და ორი ნაბაჯით ექიმებს მიუახლოვდა.

— წარმოადგინეთ, რა გასაოცარი ამბავია, ეს შრატი, რომელსაც ახლა ჩვენ ეხმარობთ, მართლა თეთრი და მეტად ლამაზი ცხენისაა.

იმ დღეს მე და ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტის გამეც საბურთალოზე, სადაც საშრატე სისხლს იღებენ, ერთად წავიდით დასათვლიერებლად. დიდი ხანია იმ ცხენს მიქებდენ, მეტად ლამაზია და ყველაზე ბევრ სისხლს ეს ცხენი გვაძლევსო.

ამ ცხენს ცისკარა ჰქვია და იმ დღეს სწორედ ამ ცისკარას ოთხი დიდი ქოლა სისხლი ამოუღეს და ეს ახალი შრატი სწორედ იმ ცხენისა...

საერთო ღიმილმა ყველა ექიმს სახე გაუშუქა.

— რას ბრძანებთ?!

— მართლა?!

— გასაოცარია, გასაოცარია!

წამოიძახეს სხვადასხვა დროს ექიმებმა და დილილით ისეც იმ ბავშვისაკენ გაიხედეს.

ბავშვი რომ კარგად გახდებდა, საბურთალოზე წაუყვანეთ და ის ლამაზი ცხენი, რომელიც ბავშვს ელანდებოდა, უსათოდ აღჩვენეთ. იქ ლამაზი მიღამოვითა და პერეც მშვენიერია, იქ ბევრ კურდღელის ნახავს და საუკეთესო ექსკურსია იქნება. ოღონდ, როდესაც ძალიან კარგად მოაჯობინდება და კარგი ამინდიც იქნება.

დღემაც სისარულით სიტყვის თქმა ვეღარ მოახერხა, ახლა კი იგი ბარწმუნდა, რომ ბავშვი აუცილებლად განიკურნებოდა.

პროფესორი ქალის სიტყვები შიშ-

საგან შეკუმშულ მის გულს მიხედვისაგით მოედო.

თვალებზე ცრემლები ჩამოსდებოდა.

სანამ ექიმები ყველა ბავშვს ნახედნენ, დედა მათ ლომობირებით შესცქეროდა და ჩუმდ თავისთვის ბუტბუტებდა:

— გენაცვალე, შემოგველე, ჩემო პატარა ბიჭუნა, შენც და შენს მხსნელსაც.

\* \* \*

შემოდგომის თბილი და მზიანი დღეა. ლურჯი ცა ტუილის ატლასივით გადაჭკვერა.

ავკულის მთები სულ ახლა მოჩანან.

ყაზბეგის მწვერვალი შაქრის თავით ტფილის შორიდან შემოსცქერის.

ნოდარისათვის მამის ზელი ჩაუკიდა და ლენინის ჭჭრით საბურთალოსკენ მხნედ მიბიჯებენ.

ბავშვი მეტად მზიარულია, ლამაზაკომს განუწყვეტლივ.

ნაყადმყოფარ სახებზე მზის სწოთლე ვარდისფრად შეჰპარვია.

მიღის, მიბაკუნებს და გამაღებთ აქეთ-იქით იხედება.

დიდი ხანია ქალაქის ქუჩებში აღარ გაუკვლია, ერთ კვირაზე მეტ მარტო ეზოში და თავის ქუჩაში დასეირნობდა. ახლა კი შორს მიდის, სანეტარო ადგილების სანახავად.

— ნეტა მართლა ის ცხენი იყოს... რომ იცოდე, მამა, რა ლამაზი იყო ისეთი თეთრი იყო, როგორც თოვლი. სისარაში სულ არ მეშინოდა ისე შეაღერებოდა, გრძელ ფაფარს გულზე მფენდა და მარნე ავადმყოფობას სულაც არა ვერძობდი. მე კი დედე დიდ თვალებს ვუკაცნიდი და ისე მიხაროდა, ისე... უი, მამა, რა არის? რა გუუენებს?!

შეწყვიტა ბავშვმა ავადმყოფობის ამბავი, როცა ლენინის ჭჭრის ბოლოდან ხშირი გუგუნე მოესმა.

— აქ, შეილო, აბრეშუმის ქაზნაა, აბა შეხედე, რამოდენი ახალ შერობები წამოიჭინენ, ხედვ, ქმით გზები როგორ გააფართოვ-

— მამა, დიდი დაღმართი საღ არის? ან ეს ქუჩა ასე ძალიან როგორ გააღივებს!

— გახედე აქეთ, ნოდარ, გახსოვს, აქ რა დიდი კლდეები იყო წამოწვენილი, ჰო და, აი ეს კლდეება სულ მთლად ჩამოქრეს. კლდეები სახლების და ქაჩხნების აშენებას მოანდომეს და თანაც ქუჩა ასე მშვენიერად გააფართოვეს და გაასწორეს.

— უი, მამა, უკუტრე, ხილი. . რამოდენა ხილი გაუკეთებიათ...

— უმ, რა კარგია, რა ძალილი! ის რაღა, მამილო, აგერ, ქვემოთ...

— ის ძველი ხილია, შვილო, ვერა იტანი!

— უი, რა სასაცილოა, რა პატარა, დიდ ხილს შვილივით ამოღდგოვია... მაგრამ, მამა, მამა, გახედე, მამა. იქ გახედე, ირემი, მამა, დიდი რქიანი ირემი! აგერ კიდევ... ხედავ... მამა, ხედავ!

— ჰო, შვილო, ჰო. იქ ზოლოვითი ბალი გააშენეს, მთელი ის წყება ვერის ბაღებისა მთლად ამ ზოლოვით ბაღს მოუწდა. მანდ ახლა ირემებიც არიან, ლომებიც, ვეფხვებიც. ბავშვა სიტყვა გააწვეტიანა, სახეზე წითლი უკმაყოფილება აღებუდა.

— იცი, მამა, სანამ ავად გავხდებოდი, მასწავლებელი დავპირდა ექსკუსიით ზოოლოგიურ ბაღში წავიყვანო, ვინ იცის, იმით კიდევ ყველაფერი ნახეს და მე კი...

— შენც გაჩვენებ, შვილო. დღეს წავიდეთ, ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტის თეთრი ცხენი ვნახოთ და მერე კვირას აქ წამოგიყვან.

ბავშვი უტბად გაჩერდა. თვალები ცეცხლით აეცისო.

ხილს ყურისაკენ გაიქცა და ზოოლოგიურ ბაღს ფართო თვალებით ყურება დაუწყო.

იქიდან იმ წამს საზარელი ხმა მოესმა.

ბავშვმა მამისკენ გამოიხედა

— ეგ თუთიყუშები ყვირიან, აგერ ფარყატიც, შეხედე, ცალ ფეხზე როგორ გაჩერებულა, გრძელ ცხვირს წერაქვივით ატრიალებს, შეხედე, შეხედე, რა სასაცილოა!!

— მამა, ახლო მივიდეთ, კარგად ვნახოთ, შენი ქირიმე, ესენიც ვნახოთ!

— არა, შვილო, ყველაფრის ერთად ნახვა არ შეუძლება, დიდილები. ან, თუ გინდა, დღეს აქ შეგიყვან, მაგრამ თეთრი ცხენი?!

— არა, არა, მამა, ისევ თეთრი ცხენი ვნახოთ. ის ცხენი ყველაფერს შირჩენია. სულაც იმისმა სისხლმა არ მომარჩინა?! წავიდეთ, წავიდეთ, მაგთ ყურსაც არ ვუვლებ.

ნოდარმა პირი ისევ გზისკენ იბრუნა და ნაბიჯს მოუმატა. ეშინოდა, აღარაფერს არ შეეცდინა და დრო აღარ დაჰკარგოდა.

— უიჰ, უიჰ, უიჰ!—თითქოს ქვერიდან რაღაცამ მძლავრი ხმით ამოიძახა.

ამ ხმამ ფრინველების მოუსვენარი წიკვინი გამოიწვია.

ნოდარი ცოტათი იყო ზოოლოგიურ ბაღს გაცილებული. ამ ხმაზე ბავ

შვი უტბად გაჩერდა და მამას უხმოდა გაკვირვებით შეხედდას. მამას გავლიმა.

ბავშვს ხელი მოჰკიდა და გაღმებულმა უთხრა:

— აი, შვილო, ეგ ლომია. გესმის რა დიდი ხმა აქვს? ეგეც ყველაზე ლამაზი და მძლავრი ცხოველია.


— და... მერე, მერე, მამა, არ ეშინიანთ, რომ ეგ აქა ჰყავთ?

— რათა, შვილო, ლომები და პირუტყვები ძლიერ მავარ რკინის გალიაში ჰყავთ დამწყვედულნი.

— მერე და რომ გამოანგრეონ მუზღმუჭმუხვით იკითხა ბავშვმა.

— არა, ნოდარ, ვერასოდეს რკინის გალიას ვერ გამოანგრევენ; ი რკინები ლომზე უფრო ძლიერია.

ბავშვმა გზადაგზა მამას ბევრ კითხვა დაუყენა მხეცების, ცხოველების შესახებ და ამ ლაპარაკით შეუშინველად საბურთალოსკ მიუთხლებდა.



შებენ, მამა, აქაურობას სულ სო-  
ველსა ჰვავს. აგერ ხზოები. იქ კიდევ  
დიდი ძაღლები, სახლებიც რა კოტაა...  
როგორი ყოფილა საბურთალო.

— თანაც რა კარგი მზე ანათებს.  
მეხედ, ნოდარ, ბღში ხეხილი რო-  
ცორ გაწითლებულა, რა ლამაზია აქა-  
ურობა, მართლა და საბურთალო ახ-  
ლა ნამდილო სოფელსა ჰვავს.

— ბაქტეოროლოგიური ინსტი-  
ტუტის საჯინიბო კიდევ შორს არის?

— არა, აი ასე სწორი გზით გადა-  
ვივლით და ხედავ ქვემოთ თეთრი შე-  
ნობას? იმის გვერდით არის. ხომ არ  
დაიძაღვ, ნოდარ?

— დავიძაღვ კი არა, თუ გინდ  
გვხალაში წამოვკეცები, ისე კარგად ვარ!  
მართლაც, ლოყებდაწითლებული  
მავში ყოყობად მიაბაჯვება და ხარ-  
ბად აქეთ-იქით იტყირებოდა.

მიუახლოვდენ.

თეთრი შენობიდან გზატკეცილი  
ქვემოთ ეშვებოდა, იმ შენობიდანვე  
ხალაი მტკიცე გოლაფანი გზატკე-  
ცილს დიდ მანძილზე მისდევდა.

— აი ამ შემოფარგლულით ინსტი-  
ტუტის საჯინიბო იწყება. აგერ ძირს  
ახედე! ის გრძელი შენობები იმას  
ეკუთვნის. ბაღებიც სულ მთლად ამ  
დაწესებულებისაა.

— აქეთ, ნოდარ, აგერ ვიწრო ბღ-  
კით ჩავიდეთ. — უთხრა მამამ და ბავშვს  
ხელი მოაქცია.

შემოდან დიდებუე და ბაღ-ბოსტნე-  
ბით დაფარული მტკერის ნაპირები  
მეტად ლამაზი სანახავი იყო.

ფართოდ გაშლილი, ვერცხლივით  
მოლაპაპე მდინარეზე ბორანი დინ-  
ჯად მიტრავდა. ავკალიდან ტფი-  
ლისის ნოახლოვებულმა საფოსტო მა-  
ტარებელმაც იკვირა, და კუმშუქუმად  
ამოვარდნილი კვამლი კრაილოსანი-  
თი გაქიშულ ფერად ვაგონებს პა-  
რალებულურად თან გაჰყვა.

ნოდარმა ერთი კი თვალი გადაავლო  
ლამაზ მიდამოებს და ქვემოთ ისევ ინ-  
სტიტუტის შენობებს მიაშტერდა.

ფართოდ გაშლილ მინდვრებზე დი-  
დი ხეები იყო დარგული გრძელი შენო-  
ბების წინ და იმ ხეებს ქვეშ ცხენები  
ჯგუფად ება და შიანი დღის სია-  
მოვნებას კუდების ქნევით ხატავდენ.

— აგერ, მამა, ცხენები! აგერ!  
სიხარულით წამოიძახა ნოდარმა.

— ჰო, იქ ჩვენ ბევრ ცხენს ვნა-  
ხავთ... ის გრძელი შენობები სულ  
ცხენების სადგომებია, მაგრამ ნელა,  
ნოდარ, ნელა!

ნოდარი კი აღარ იცდის, გულის-  
ფანქვალით დაღმართი ხუთ წუთში

ჩაირბინა და ცხენებს ბაი...  
ბა დაუწყო.

თეთრი ცხენი არს...  
ყავისფერი და შავ...  
დიდი თავისი კარები ფართოდ გა-  
ვლით.

ნოდარმა შეიხედა.

თავლა ნაწილ-ნაწილად ფიცრების  
კედლებით იყო დაყოფილი, ყვე-  
ცხენს თავისი განსაკუთრებული ბი-  
ჭონდა. თეთრული ცხენის წინ მუ-  
თულის ძაფები კუთხეში იყო მიმა-  
გრებული.

შეგ თივა ვყარათ. ცხენებს თავე-  
ბი ჩაყვით და თივას გემრიელად  
ახრამუნებდენ. თივა ძირს არ იფან-  
ტებოდა. ისმოდა თივის ხშირი ხმა  
მუნი და ფრუტუნნი.

ნოდარს ყველაზე ძლიერ ის გაუ-  
ვირდა, რომ წუთით ხარხიხებზე აუ-  
რებელი ჩიტი იჯდა.

ესენი ცხენების მუდმივი სტუმრე-  
ბი იყვნენ, ქერს კენკავდენ და ქათამე-  
თან ერთად პატებს ქექავდენ.

ცხენები სისუფთავისაგან ბზინავდენ

— აქაც დაახლოვებით ოცდაცხრა  
მეტი ცხენია.

ამ ლაპარაკით ნოდარს მამა და  
ვიღაც უცნობი თავს წამოაღდენ.

— აქ დიდი ნაწილი ბრმა ცხენებია.  
ნოდარი გაუაციცებით ისევ თეთ-  
რ ცხენს ეძებდა.

ნოდარ, ცისკარა ამ თავლაში ახ-  
ყოფილა... მეორეშია, აქ მეტი ნაწი-  
ლი ბრმა ცხენები ყოფილა.

— დიხ, — დიხ, ჩამოართვა სიტყ-  
ვისეე უცნობმა მეჯინიბემ.

— აგერ აი ის ქვემოთა რიგი სულ  
დოლის ბრმა ცხენებია. ამ დაბრძო-  
ბულ ჯიშთან ცხენებს მთავრობა იქნ-  
და იმ დიდ საქმეს, შრატის გაკეთებ-  
ანდომებს.

ნოდარს სახეზე ვაკვირვება აღს-  
ქდა. ცხენებს ორივე თვალი მ-  
ლული ჰქონდათ და მეჯინიბე კი იმ  
ბრმას უწოდებდა.

აგერ, აი იმ კუთხის ცხენს კი თ-  
ლებზე თეთრი ბისტი აქვს ვადა...  
ლი, ის მართლა ბრმაა და ესენი  
ისე იხედებიან, თითქოს ყველგან  
ნათლად ხედავდენ.



— ჰო, ნოდარი, რად გიკვირს, არის ისეთი ავადმყოფობა. ზოგიერთ ადამიანსაც თვალში ახელილი აქვს და ეგრეაფერს ხედავს, ასეთი ავადმყოფობა ცხოველებსაც სჭირთ.

— აბა, აგერ ეტლი მოდის, ჩვენი ექიმები მოდიან და სისხლის ამოღებაც ახლად დაიწყება. თქვენ იქ მობრძანებით და ექიმი ცისკარას სისხლის ამოღების ნებას დაგვრთავთ. — ნოდარის პამამ მადლობა გადაუხადა მეგინიბეს და მომავალ ეტლს ნოდართან ერთად ყურება დაუწყა.

ერთ წამს ყველაფერი მზად იყო. აბა-იქიდან მეგინიბეები და მომუშაობა ხალხი გამოჩნდნენ.

— გამარჯობა, ამხანაგებო, გამარჯობა, — მიესალმნენ ექიმები დახვედრილ ხალხს.

ეტლიდან აპარატები ყუთებით და ყოველნაირი საჭირო ხელსაწყოები გადმოიღეს. თეთრი შენობის კარები გააღეს. ექიმებმა და მომუშავე კაცებმა თეთრი წინასაფრები გაიკეთეს, ბნელ კუთხეებში ელექტროები გაჩაღდა.

პრილა ქვაბები პრიმუსებზე სწრაფად მოშინდნენ. ცხენებმა გრძელ და კულტურულად მოწყობილ თავლაში ყურები დატკვიტეს და აფრტუხდნენ.

იმით იკადრენ, ეტლით ერთი და იმავე ხალხის მისვლა რასაც ნიშნავდა. ბეგის მათგანი დიდი ხნის ნაკადი იყო და მშვენიერად უხვდებოდა ამ გარემოებას, მაგრამ ორჯერ ან სამჯერ ოპერაციადატანადი ცხენები მოუსვენრად იტკვირებოდნენ და ფეხით ტრას ცემდნენ.

ნოდარის პამამ ექიმებიდან ნებართვა აიღო ბავშვისათვის ლამაზი ცისკარა ენახეგებია, როცა მას სისხლს გამოუშვებდნენ.

— მაშენ ჩვენმა ცისკარას სისხლმა მოგარჩინა?! ყოჩაღ, ბიჭუნა, ყოჩაღ! მოხვედლი, რომ ჩვენ ლამაზს მადლობა გადაუხადო, არა?! ეგეც

კარგი საქმეა, სხეებმა არც კი იციან, ზოგიერთი ცხოველების, და მეტადრე სალი ცხენების, სისხლი რა გამოსადეგარია ადამიანის სიცოცხლისათვის...

— ჰო, აბა, დამიტრი, ჯერ პატარა პონები ნომეგარე, ტოქსინი შევეშხაუნოთ, შემდეგ ლურჯა და შარები მესამე თვლიდან მარდაღ! — მიმართა ექიმმა მსახურს.

მსახური გატრიალდა, მეორე რუსი კი ცოტა ხნით გაჩერდა და დამილით ექიმს მიმართა:

— ექიმო, ვი რამ ძლიერ გავტანჯოთ, ლურჯა მეტად ახალგაზრდაა და ფრთხალია, არა სჯობია ჯერ გიერასათვის შეგვეშხაუნებია.

— შე კაი კაცო, დღეს იქნება თუ ხედა, ერთია, იმ შენ საყვარელ ლურჯას ნემსს ქვეშ ხტუნვა და კუნტრუში მაინც არ ასცდება.

— მომიყვანე, მომიყვანე, მიგაჩიოთ, მაშ რისთვის ვაქუნებ ამდენ კოპტონსა და ქერს, სისხლიც არ უნდა მოგვეცეს?!

რუსი გატრიალდა დამილით. ექიმი საოპერაციო თეთრ შენობაში შევიდა და ნოდარი თავის მამით დასათვალიერებლად მიიპარტია.

ფართო, თეთრად შეღებილ შენობაში ორი ადგილი კარგა შეკრულ კოლოფივით ფიცრებით იყო შემოფარგლული.

ოპერაციას ამ შემოფარგლულში უკეთებდნენ ცხენებს, ჭერიდან ბრტყელი ტყავის საბრტყლები და ბოძებიდანაც ცხენებსა თავისაფარებელი ქაბრები ძირს იყო დაშვებული.

— აი, შეხედე, ბიჭუნა, ამ ყუთიელ სითხეს ტოქსინი ჰქვია, ამას ახლა კარგად გამოკვირილ სალ ცხენს კანში აი ამ გრძელი ნენსებით ჩაუშვებთ, ეს წამალი ცხენის სისხლში ანტი-ტოქსინს გამოიშუავებს, თვენახვერის შემდეგ იმავე ცხენს, რომელსაც ბევრ-

ჯერ ჩაუშვებთ ტოქსინს, სისხლს დაუშვებთ და იმ სისხლისაგან ჩვენ იმ ანტიტოქსინს მივიღებთ, რომელიც ხუნაგან ავადმყოფს შევეშხაუნებთ ხოლმე ავადმყოფობის დასახლეველად.

ცხენის სისხლიდან ტენის ისეთების, ყალათმის, წითელი ქარის და ზოგიერთი სხვა ავადმყოფობის საწინააღმდეგო შრატებს სულ სხვადასხვანაირად ვამუშავებთ და აი ამ საშუალებით ვყურავთ შენისთანა კარგ ბიჭუნებს. გაიგე?!

— აგერ, მოპყავთ, ვახიხედე, აი იმ ცხენს მარები ჰქვია. შეხედე, როგორ მოკუნტრუშებს

ყველამ იქით ვახიხედა. ნოდარი მთლად ჭკერტად იქცა.

მსახურს ცხენი სადვით ეჭირა. სიმსუქნით ჩამრგვალებული იყო. ყველმოდრებულს თავი ისე კობტად მოედრიკა და ისეთი თხარაკით მოდიოდა, გეგონებოდა ცქევაესო.

თეთრი შენობის შესავალიდან მარცხმა ყურები ტკვიტა, ცხერის ნესტოები რამდენჯერმე შეაჯამაშა და შედგა.

— აა, მარებს, ნუ გეშინია, გასწი წინ, პირველად ხომ არა ხარ! — აბა!!

მსახურმა ატლასივით ალაპაღებულ კისერზე ხელი დაჰკრა და შემკრთალი ცხენი წინ გაიგდო.

ნალბე ასფალტის იატაკზე რითმულად აწკრიალდნენ, ცხენი შემოფარგლულ ადგილას შეიყვანეს და ტყავის სალტებით თავი ჩაუხეს.

გადიდებულ თვალბით შესცქერის მარები აშოშინებულ პრიმუსს, ყურებს ხშირად ცქევეს და ოდნავ ტოკავს.

ამ წამს ლურჯაც შემოიყვანეს.

(გავრძელება იქნება)

ცქვიტი

# დახმარება



სოფელი გრიგოლეთი სადგურ სუფსასთან არის. იქ შენდება ციტრუსოვანი კულტურების საკავშირო წნიშენლობის საბჭოთა მეურნეობა. მაგრამ მეურნეობამ ავგისტროში მუშახელის ნაკლებობის გამო დასახლება გვემა ვერ შეასრულა.

გარღვევა გვაქვს — ამ ცნობასთან ერთად ამოთავადენ რაიონის პარტიულ-კავშირული ორგანიზაციები. გარღვევის სალოციდაციოდ გრიგოლეთში რამდენიმე დღით ჩავიდენ მეზობელი სოფლის კოლმეურნეები და კომკავშირული ხალვაზრდობა.

— ბუქსირი, ბიჭებო, ბუქსირი ჩამოტყდება, — ისმინდა საბჭოთა მეურნეობის ფართობებიდან.

მწიანებელი ღამეში ხეების შრიბს და ზღვის გამუდმებულ ხმურს კოლმეურნეთა ყივირა უფრთხობდა.

სეკულბრიოი სამუშაო დღე თენდებოდა. საბჭოთა მეურნეობა ჯერ ისევ დღემ და დღის ღრმა ძლით.

გაშლილ მიდამოზე იდგა გაურღვევი ისლი. ახლა აქ მხოლოდ ზღვის გამუდმებული ლევა ისმოდა.

საბჭოთა მეურნეობის ეზოს კარი გაღებული. შორიდან მოისმა ბუქისა და დლოს ხტორი, შემდეგ მას მოჰყვა „გვამს“ ძაღლი.

კარგებში მუშებმა გაიციქეს და ბარაკების წინ გამოფრინეს. მათი ვალეიტეული სტუმრები ჩქარა კარავების წინ ამწყვრიდენ.

ესენი იყვნენ ლანჩხუთის რაიონის სუფსისა და ნივჯიანის თემის პიონერ რაზმების მოზრდილი ბავშვები.

ბავშვა რიცხვი 100 აღევსებოდა. მათთან იყვნენ პედაგოგები და ხელმძღვანელი უფროსი ამხანაგები.

რატიმ მოვიდენ ან რა უნდოდათ, მის შესახებ არცერთი მათთანავე არ ვთქვამოდ ბავშვს.

მთი იციან, რომ მოზარდი თაობა წინა ცინობდეს და სწავლობდეს ჩვენს რაიონებს, ენმარბობდეს მას ამ შესწავლის საფუძველზე.

\* \*

მეურნეობის მუშები ფართობებზე გაიქცნენ.

ბავშვა რიგი ტრებეაშლილი ცაცხვის გემ მოთავსდა. ჩქარა მათთან მოვიდენ მეურნეობის დირექტორი და აგრონომი. დირექტორი ბავშვებს ესაუბრა საბჭოთა

მეურნეობის საერთო მდგომარეობაზე, ხოლო აგრონომმა მათ დაწერალებით გააცნო ბატატის კულტურის მოშენებისა და მის ფართობზე მუშაობის წესები.

საუბრაში ნაცნობი საკითხების გაკონტინის დროს ისმოდა:

„ვიცი, სკოლაში გვისწავლია“.

საუბარი დამთავრდა. ხელმძღვანელებმა ბავშვები ბრიგადება დაუყვეს. — სოც-შეჯიბრი ბრიგადებს შორის, — შემოიტანა წინადადება პიონერმა.

— კარგია, კარგია! — ახამურდენ ბავშვები. ხელშეკრულების დადგმა ბრიგადებს შორის სწრაფად მოათავეს და ფართობზე გაეფინენ.

ბრიგადა ბრიგადას ეკვირება. მოყინვე ბავშვი ნაწიანავეს, და ბატატო თაფლსუფლავი სარეგული მაღახებისაგან.

— აბა, არ გავგავსწოროს სხვა თემმა, ჩვენ მეტი დავამუშაოთ, — ფუსფუსებენ ფართობზე ბავშვები და ფხვიერ ნიადაგს თოხით აბრუნებენ.

\* \*

მზე სამხრეთით გადაიხარა. ძალზე ჩამოცხა. ცაცხვის ძირში საყვირი გაისმა. ვინ იყო ნიშანი მათი მუშაობის დამთავრებისა.

— დღეს წინ წავიდა ჩოჩხათის თემი, რომელმაც დაიმუშავა 6.900 კვადრატული მეტრი ფართობი.

— ჩვენ კი ჩამოვჩიოთ თუ? — ახამურდენ დანარჩენი პიონერბავშვები.

— არა, მეგობრებო, თქვენც წინ მიდიხართ, ხვალსათვისაც ხომ აქ ვჩრებთ და ვნახოთ, ვინ ვის გაუსწრებს, — დაამშვიდა ხელმძღვანელმა ახამურბეული ბავშვები.

შეკრების დამთავრების შემდეგ ნაწილი პიონერებმა ახალი ვახუთებით მუშების დასახლებული ადგილობრისკენ გაემართა. მათ ახლავთ პედაგოგები. ესენი მკითხველთა ჯგუფის წევრებია. რამდენიმე ბავშვი კვლავ ვახუთის მასალების დამუშავების შეუდგა.

— ხვალ საველე ვახუთი მზად უნდა იყოს, უსათუოდ მზად, ცოცხალი და კონკრეტული მასალებით მეურნეობის საკიბორტო საკითხებზე, — თქვა ხელმძღვანელმა პიონერმა.

მათი საქმიანობა მალე შეწყდა, მეურნეობა უმასმინდლებმა ძვირფას სტუმრებს, რომლებიც მივიდნენ მის შესასწავლად და დასახმარებლად.

გემრიელი სადილის შემდეგ კარგია ზღვაზე ბანაობა.

ბავშვები ზღვის ნაპირას დაირახნენ, ცოტა ხნის შემდეგ მზიარულად შეუდგენ ბანაობას.

ზოგერთმა მთავანმა დღეს პირველად ნახა ზღვა. უნდათ სულ აქ იყვნენ, მაგრამ გძმობა გინებს ემორჩილება, და წყლიდან ამოდიან. ბავშვები ახლა კარგებისაკენ ემურბებიან, კარგებში კარგია სანტერესო ამბების მორიგებით მოყოლა. სანტერესოა ამბები და ზოპირები ზამთრის გრძელ დამეში. მაგრამ ახლა კი გრძელი დღის სანახაობით დადღობ ბავშვებს ამბების მოყოლაში შეუშინველად ჩაქმნათ.

სიხინათ მივლ საბჭოთა მეურნეობასა და მის პატარა სტუმრებს.

მეორე დღეს ადრე დილით ბავშვებმა მუშებთან ერთად გაილიქეს. ნორჩ ენთუ-ზიასტოა ბრიგადა ფართობისაკენ მიემურება. დღეს მეურნეობაში ყოფნის უკანასკნელი დღეა, ვნახოთ, ვინ ვის აჯობებს.

ამაჰმად გამარჯვებული გამოიყურება საველე ვახუთის რედკოლეგია.

მეურნეობის განცხადების დაფასთან მუშები ირივან. დაფას ამშვენიერ ბავშვების მიერ გამოშვებული კვლავის ვახუთი.

— აქ წერილი: „გროგორ მუშაობს მეურნეობის სასადილო“.

„დავიცვით სანიტარული პირობები“.

— ხმაშალა კითხულობენ ვახუთის მეთაურმა წერაილის სათაურს მუშები.

— ბავშვა მსუბუქ კავალირიას ბევრი რამ გამოურკვევია მეურნეობის საკიბორტო საკითხებიდან, რაც ვახუთში გამოშვებენიათ. მტკივნეულ საკითხებზე უსუეთესოდ არის შესრულებული მხატვრული კარკატირები.

სამუშაოა დღის 4 საათი შეუმჩნეველად ვავიდა. დამკვერე ბავშვებს თვალები უბრწყინდებათ მათ მიერ დამუშავებული ფართობებისაკენ ვახუთის დროს.

მუშაობა შეწყდა.

მეურნეობის აგრონომი და ბავშვა ხელმძღვანელი დამუშავებულ ფართობს მოამბენ.

ცოტა ხნის შემდეგ ისინი ბავშვებთან დაბრუნდენ.

— ყოჩაღ, ყმაწვილებო, ყოჩაღ! ამ სიტუკვიბით მიუახლოვდა აგრონომი პიონერებს.

— თქვენი დამუშავებული ფართობი საკმაო მოცულობისაა.

რამდენია, მიინც, ბიძია?  
ერთსა და იმავე დროს წამოიძახა რამდენიმე ბავშვმა. აგრონომმა ბლოკნოტის ფურცელი გადაშალა და დაიწყო: — თქვენს მიერ დამუშავებულია 24.000 კვადრატული მეტრი ფართობი. დამუშავებული ფართობის თვისება დამაკმაყოფილებელია.

ეს უკანასკნელი სიტყვა არც კი ჰქონდა დამთავრებული აგრონომს, რომ მხურვალე ტაშმა ივრიალა.

— აბა, ახლა მზიარული ცეკვა-თამაში გავაჩალოთ.

სახელდახელოდ წრე გააკეთეს. მუშებიც აქ არიან. ისინი მზიარული სახეებით უტყვიან მათ დამხმარე ბავშვებს. ცეკვა-თამაში დამთავრდა.

წრის შუა ადგილას მურნეობის დირექტორი გამოჩნდა.

მან ბავშვებს დახმარებისათვის მურ-

ნეობის სახელით მადლობა გადასცა, სიტყვის დასასრულს შეჰპირდა დახმარებას სკოლის უკეთ მოწყობაში.

წრე დაიშალა. ხელმძღვანელებმა ქაღალეები მწყრივად დააყენეს.

დარაზმული პიონერთა რიგი მახლობელი რკინისგზის სადგურისაკენ გაეშურა. დიდხანს ესმოდათ მათი საყვირისა და დოლის ხმა მურნეობის მუშებს.

საღამოეამს, როცა მიღმო დაინისლა, რკინისგზის სადგურიდან მოისმა მატარებლის კივილი.

მურნეობის დამხმარე ნორჩი ერთუხიასტები ამ მატარებლით გაემგზავრნენ ორი დღით მიტოვებულ სოფელში მშობლებთან.

ისინი მატარებლის ფანჯრიდან ქუდის ქნევითა და უჩიამულით დაემშვიდობნენ ზღვის სანაპიროს ამაჰ ამუწვანებულ ბუნებას.

მ. ებრაღიძე.

ლიც შეიტანს თავის წიგნს სკოლაში ალიზის შენების საქმეში



## ასეთი უნდა იყოს საგჭოთა სკოლის მოწყვე

ჩვენი ხელისუფლება და პარტია უდიდეს ყურადღებას აქცევს მომავალი თაობის კომუნისტურად აღზრდის საქმეს. ის ყოველგვარად ცდილობს რაც შეიძლება უკეთ მოაწყოს ბავშვთა აღზრდის პირობები, რომ თვითთული მოწაფე აკადემიურად წარჩინებული, პოლიტიკურად განვითარებული, ფიზიკურად ჯანსაღი და პო-

ლიტიკნიკურად აღზრდილი იყოს. საკირია მხოლოდ, რომ თვითთულმა მოწაფემ შეიგნოს თავისი ვალი ხელისუფლების წინაშე. თვითთული მოწაფე უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას, რომ ხელისუფლების მიერ მასზე ზრუნვა აანაზღაუროს იმით, რომ მისგან შეიქმნეს საუკეთესო სპეციალისტი, საუკეთესო საბჭოთა მოქალაქე, რომე-

მოწაფე, რომელიც ბეჯითად არ სწავლობს, მოწაფე, რომელიც უღისცილობს, — არ ამართლებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. ცხადია, ასეთი ბავშვებისაგან არ შეიქმნება პატროსანი საბჭოთა მოქალაქე.

თუ მოწაფე სკოლაში დადვიანებით ცხადდება და ეს სისტემად გადაექცევა მას, — ის წარმოებაშიც დაიგვიანებს; თუ მოწაფე გაკვეთილებს აცდენს, — ის წარმოებაშიც გააცდენს დღეებს. თუ მოწაფე გაკვეთილებს არ დაამზადებს, — ის არც წარმოებაში გააკეთებს რამეს. თუ ბავშვი პატარობიდანვე არ არის დაინტერესებული ცოდნის შექენით, — ის ბოლომდის უფოც დაჩნება. ჩვენს ქვეყანაში კი ადგილს ვერ იპოვიან უღისცილობი, დღეების გამცდენი და არამშრომელი ელემენტები.

ჩვენ სკოლებთან არსებული პიონერკოლექტივების მთავარი ამოცანა უნდა იყოს აკადემიურად ჩამორჩენილ და უღისცილობი მოწაფეთა გამოსწორება, უკიდურეს შემთხვევაში კი ასეთი მოწაფეებისაგან სკოლის გაწმენდა. ეს ვალდებულება უნდა მიიღოს თავის თავზე თვითთულმა პიონერმა, თვითთულმა წარჩინებულმა და სამაგალითო მოწაფემ. ასეთი მოწა-





სწავლით დაინტერესებული სერგო ტვილისში მოეწყო — კარლ მარქსის სახელობის პოლიტექნიკურ სკოლაში. ამხ. ნამგალაძე ა. ლ. კ. კ. ორგანიზაციის აქტიური წევრი გახდა და სკოლასთან არსებულ უჯრედის მდივანად ექნა არჩეული.

ამის გარდა ის თვლებმა პოინერთა კოლეგტივის ხელმძღვანელად. ამხ. ნამგალაძე მთელი სკოლის ყოველგვარი საქმიანობის აქტიური მონაწილეა.

მიუხედავად იმისა, რომ ამხანაგ ნამგალაძეს საზოგადოებრივი დატვირთვა ძალიან ბევრი აქვს, რასაც ის მუდამ პირნათლად ასრულებს, ის აკადემიურადაც წარჩინებული და საუკეთესო მოწაფედ ითვლება. ნამგალაძე ახერხებს იმასაც, რომ სწავლაში ჩამორჩენილი მოწაფეები ამაკადინოს. მას პყავს ჩამორჩენილ მოწაფეთა ჯგუფები და მთელი თავისი ენერგიით მუშაობს მათი გამოსწორებისათვის.

ამხ. ნამგალაძე მუდამ აქტიური მონაწილეა ადგილობრივი კედლის გაზეთის გამოცემის საქმეში.

ამხ. ნამგალაძემ თავისი ინიციატივით ჩამოაყალიბა პოინერთა ბრიგადა სსკსკოლა ინვენტარის შესაკეთებლად.

ბით მუშაობდა აგრეთვე წერეთლების უკლდინარობის ლიკვიდაციისთვის, მან წერა-კითხვა შეასწავლა წერა-კითხვის ცხრა უკლდინარს.

ამხ. ნამგალაძეს კარგად აქვს შეგნებული ის, თუ რა დღი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ხელისუფლები-სათვის გასამხედროების საქმეს. მას შეგნებული აქვს ის, რომ თვითონ უნდა დადგეს საბჭოთა კავშირის სადარაჯოზე. ამიტომ იგი პირველია სამხედრო ცოდნის შეძენაში. ის სავსებით დაუფლებულია სროლის ტექნიკასაც.

